ძველი თბილისის ბინები [illegible]

38-89

88

287 1 188

287 1 188

დასკანირებულია 16.01.2025 (13)

13.

საჯაროობა!

„ვთქვი ცოტა იკიბო-ბიკიბოდ"

პლაგიატისა და უმეცრებისათვის—პრემიები?!

საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებამ (თავმჯდომარე პროფესორი დავით ლორთქიფანიძე), აკაკი თოფურიას ნაშრომს („ლეო ქიაჩელი") პრემია მიანიჭა. იმავე ავტორის მეორე წიგნი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" კი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ (ყოფილმა) დააჯილდოვა პრემიით. ეს მაშინ, როდესაც, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, ორივე წიგნი პლაგიატის და უმეცრების ფართოფურთოს კრებულებია. პრემიები კი მაინც მიანიჭეს!

ესაა ლეგალური უშრომელი შემოსავალი, მეტისმეტად მწარე რეალობა, საზოგადოებრივი აზრის გამომწვევად უგულებელყოფის დამაფიქრებელი, სამარცხვინო ფაქტი, რაც მომძლავრებული ნეგატიური ტენდენციების, კონტროლს დაუქვემდებარებელი სიტუაციის აშკარა დასტურია. ჩანს, რომ ზოგიერთებისათვის გარდაქმნა, დემოკრატიზმი, საჯაროობა ფარატინა ქაღალდია, ცარიელი სიტყვებია. ისინი თავიანთ ყავლგასულ და მუხანათურ პოზიციებს არ თმობენ. ალბათ, იმედოვნებენ, ყველაფერი და ყოველივე ძველებურად დარჩება და ჩვენც ფონს იოლად გავალთო...

ა. თოფურიას წიგნი „ლეო ქიაჩელი" მიუტევებელი, საძრახისი მანკიერებების მოზრდილი გროვაა. საგაზეთო სტატიაში, ცხადია, არ გვაქვს საშუალება, რომ დაწვრილებით განვიხილოთ ის. აქ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ა. თოფურიას ე. წ. ნაშრომების შესახებ რესპუბლიკურსა და საკავშირო პრესაში („სკოლა და ცხოვრება", „კომუნისტი", „თბილისი", „ლიტერატურული საქართველო", „კრიტიკა", „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", „ლიტერატურნაია გაზეტა", „უჩიტელსკაია გაზეტა") დაიბეჭდა კრიტიკული სტატიები, რომლებშიც იგი მხილებულია, როგორც პლაგიატორი.

სავალალოდ გახმაურებულ წიგნში („ლეო ქიაჩელი") ა. თოფურია თავისი „ნიჭიერების" კვალობაზე ვრცლად განიხილავს მწერლის ფსევდონიმის საკითხს, რომლის გასარკვევად მან ცნობილი ლიტერატურათმცოდნის სოლომონ ცაიშვილის მიერ აღმოჩენილი მასალა „იხსნა", მაგრამ რატომღაც „დაავიწყდა" წყაროს დასახელება (!). საქმე ის არის, რომ სოლომონ ცაიშვილმა 1954 წელს დაადგინა, თუ რისთვის აირჩია მწერალმა ფსევდონიმად „ქიაჩელი" (მკვლევარმა გაზეთში გამოაქვეყნა ამ თემისადმი მიძღვნილი სტატია). ეს ნაშრომი („მწერლის დღიურიდან") 1965 წელს დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის წიგნშიც „ლიტერატურული ნარკვევები". კერძოდ, პროფესორი სარგის ცაიშვილი წერს: „სოლომონ ცაიშვილმა, ერთმა პირველთაგანმა, „გაამჟღავნა" მწერლის ფსევდონიმის „ქიაჩელის" საიდუმლოება, რომლის შესახებ თვითონ ლეო ქიაჩელი რატომღაც დუმდა... სხვათა შორის, უკანასკნელ ხანებში ამავე ფსევდონიმის წარმომავლობის საკითხს ვრცლად შეეხო ქიაჩელის შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი, თუმცა, სამწუხაროდ, აქ ერთი სიტყვაც არაა დაძრული ზემოდასახელებულ მოგონებაზე, სადაც პირველადაა გაცხადებული მისი „საიდუმლოება" (სარგის ცაიშვილი. დიდი სიმართლის ფასი. იხ. „ლიტერატურული საქართველო", 1984, 17 აგვისტო). სარგის ცაიშვილი იქვე ასახელებს სხვისი ნაშრომის მიმთვისებელს ა. თოფურიას და მის წიგნს. სხვათა შორის, სარგის ცაიშვილმა პლაგიატობის ეს სამარცხვინო ფაქტი ამხილა თავის სოლიდურ წიგნშიც „წინამორბედნი და თანამედროვენი" (1986 წელი).

ახლა შევეხოთ მეორე საკითხს.

1954 წელს ა. თოფურიამ „ტარიელ გოლუას" შესახებ გამოთქვა ყოვლად უსაფუძვლო, თავიდან ბოლომდე ანტიმეცნიერული მოსაზრება: ნაწარმოებში სოციალისტური რეალიზმის ელემენტები მ. გორკის „დედის" გავლენამ განაპირობაო. ლეო ქიაჩელმა ჩვეული გულწრფელობით, ურყევი არგუმენტებით მაშინვე უარყო ა. თოფურიას „აღმოჩენა" და განაცხადა: მ. გორკის „დედა" ჩემი ნაწარმოების დაბეჭდვის შემდეგ წავიკითხეო (იხ. „ლიტერატურული გაზეთი", 1954, 29 ოქტომბერი). მიუხედავად ამისა, ა. თოფურიამ თავისი დაუსაბუთებელი მოსაზრება რამდენჯერმე გაიმეორა. იგი 1984 წელს გამოცემულ წიგნშიც წერს: „ტარიელ გოლუაში" სოციალისტური რეალიზმის ელემენტების წარმოშობა (?!) განაპირობა... დიდი ჰუმანისტისა და სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის „დედამ"... ამის შედეგად ნაწარმოები გამოირჩევა თავისი რევოლუციური პათოსით, რევოლუციური განწყობით" (?!).

არა და არ ისმინა თოფურიამ მწერლის ღაღადისი: **1. „ეს ხომ სულ მოგონილი ამბავია". 2. „ნუთუ შეიძლება აღმოჩენის ავტორობის სურვილმა ისე გაიტაცოს მკვლევარი, რომ ტყუილი და მართალი ერთმანეთისაგან ვერ გაარჩიოს! სამწუხარო ამბავია!" 3. „აქ მეტი რომ არა ვთქვათ, სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე". 4. „ეხეც თავიდან ბოლომდე მოგონილი ამბავია". 5. „აქაც აღმოჩენის სურვილით გატაცებასთან გვაქვს საქმე, როგორც პირველ შემთხვევაში, რის გამო ავტორი ტყუილს მართლისაგან ვერ არჩევს". 6. „მაგრამ ეს ხომ მოგონილი ამბავია, რასაც ქვემოთ დავინახავთ"** და სხვ. (ლეო ქიაჩელი. იძულებითი განმარტება. იხ. „ლიტერატურული გაზეთი", 1954, 29 ოქტომბერი). ლეო ქიაჩელის ნათქვამს ვერაფერს ვერც გამოაკლებ, ვერც დაუმატებ: ტაკიმასხარაობის, კვაზიმეცნიერული მონაჩმახის ობიექტურად, ლოგიკურად, ლაკონიურად მგმობელი სტრიქონებია!

სახელოვან მწერალს ხომ არ უსმენს და არ უსმენს ა. თოფურია, ახლა მის კოლეგებს, მეცნიერებს დავუგდოთ ყური, რას ფიქრობენ ისინი ამ საკითხის შესახებ?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით 1987 წლის 20 თებერვალს შეიქმნა ა. თოფურიას ნაშრომების მანკიერებების მამხილებელი მასალების შემსწავლელი კომისია.

აი რამდენიმე პუნქტი კომისიის საკმაოდ ვრცელი დასკვნიდან: 1. „სწორია რეცენზენტი, რომ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში" მ. გორკის „დედის" გავლენის კვალის ძიება შეცდომაა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ლ. ქიაჩელი თვით უარყოფდა ამ გავლენას: „ტარიელ გოლუას" დაწერისას მ. გორკის „დედა" წაკითხული არ მქონდაო, არამედ ის, რომ თხზულებათა შედარებით განხილვა ობიექტურად გამორიცხავს მათ შორის საერთოს... ცხადია, ლევანი არა ჰგავს პაველ ვლასოვს და არც თინა — „დედას" ნატაშას. 2. ასევე უნდა ითქვას სოციალისტური რეალიზმის ჩანასახზე „ტარიელ გოლუაში": იგი სათავეს იღებს არა გორკის „დედიდან", არამედ იმ რევოლუციური გარემოდან, რაც იმდროინდელი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ სოციალისტური რეალიზმის ნიშნები ძალუმად შეინიშნება არა მარტო „ტარიელ გოლუაში", რომელიც 1914-1915 წლებში დაიწერა, არამედ რამდენიმე სხვა ქართველი მწერლის ნაწარმოებებშიც, რომლებიც მ. გორკის „დედის" დაწერამდე და გამოქვეყნებამდე შეიქმნა საქართველოში (ირ. ევდოშვილის რევოლუციური ლექსები, შ. დადიანის რამდენიმე პიესა, მ. ჯავახიშვილის „ჯილდო"...). 3. არ შეეფერება სინამდვილეს ა. თოფურიას მოსაზრება, რომ ტარიელ გოლუას თითქოს უეჭველად ჰყავდეს თავისი წინამორბედი ელგუჯას, ჯორ-ზაქარას თუ ხევისბერი გოჩას სახით... არც ისაა სწორი, რომ ჯორ-ზაქარა, ელგუჯა, გოჩა, ქედმოხრილი, სულიერად გატეხილი ადამიანები იყვნენ... 4. არადამაჯერებელია ა. თოფურიას მიერ მსგავსების დანახვა ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის" ლამაზისეულსა და ი. ტურგენევის „მუმუს" გერასიმეს შორის. მართლაც, წარმოუდგენელია მათ შორის რაიმე მსგავსების დაძებნა... 5. არ არის სარწმუნო ა. თოფურიას მოსაზრება, რომ „გვადი ბიგვას" პერსონაჟ გოჩა სალანდიას და „მთის კაცის" პერსონაჟ ბათუ ქარდუას შთაგონების ერთი საერთო წყარო აქვთ". მართლაც, ძნელია ამ პერსონაჟებში „საერთო წყაროს" დანახვა. რადგან მათი მოქმედების გარემო, რწმენა, მიზანსწრაფვა და საქმეები სრულიად განსხვავებულია. 6. სწორია რეცენზენტის შენიშვნა, რომ მეცნიერის ნაშრომში მეტი სიზუსტე უნდა იყოს თარიღებსა და ტერმინების დასახელებაში... 7. ა. თოფურიას წიგნში არის ფაქტობრივი უზუსტობანიც... სასურველი იყო, რომ პროფესორ ა. თოფურიას მეტი სიფრთხილე და მეტი სიზუსტე გამოეჩინა ლიტერატურული ფაქტებისა და პარალელების მოყვანისა და ანალიზისას. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სტატუსი მისგან მეტ კომპეტენტურობასა და აკადემიზმს მოითხოვდა".

კომისიის დასკვნის მარტო ეს პუნქტები მკაფიოდ ადასტურებს, რომ პროფესორი ერთობ განუსჯელად, ჰაიჰარად გამოთქვამს მოსაზრებებს, რომლებსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ სრულიად უსაფუძვლოც და გალიმატიურიც.

ნაშრომის ავტორი კი, სამწუხაროდ, ამ „მიგნებითაც" არ კმაყოფილდება (ალბათ, შიშობს, ვაი, თუ პრემიის მინიჭებისათვის არ იკმარისო). იგი სტუდენტებს, მასწავლებლებს, დაინტერესებულ მკითხველებს „ასწავლის": „დავითისა და თინას მდგომარეობის აღწერით თავისი ოჯახის „საქვეყნოდ გაბახება" დაინახა ლეო ქიაჩელის მამის ახლო მეზობელმა გრიგოლ დავითის ძე შენგელაიამ. ემიგრაციიდან დაბრუნებულ ლეოსთან მისი პირველი შეხვედრა, თანამედროვეთა მოგონებით, სამწუხაროდ, ცივი მიღებით დამთავრდა. მწერლისათვის ეს გაუგებრობა, რა თქმა უნდა, მტკივნეული დარჩა, მაგრამ ეს ისეთივე უმიზეზო განაწყენება იყო, როგორც ტურგენევის მიმართ მისი დედის კაპრიზი, რომელმაც „მუმუში" მრისხანე ქალბატონის სახით თავისი თავის დახატვა დააბრალა შვილს". (სტილი დაცულია, ჯ. დ.).

„აღმოჩენებით" გატაცებული მეცნიერის ეს მოსაზრება ნონსენსია. „სამოსანმა" მოსწავლეებმაც კი იციან, რომ ი. ტურგენევმა „მუმუ" დაწერა 1852 წელს, ხოლო მწერლის დედა 1850 წელს გარდაიცვალა. ნუთუ შეიძლება, რომ გარდაცვლილმა დედამ ცოცხალ შვილს საყვედური უთხრა?!.

კეთილი, თუნდაც მოვიტყუოთ თავი და ერთი წუთით დავუჯეროთ თოფურიას, ვიფიქროთ, ი. ტურგენევის დედამ რაღაც „მანქანებით", მართლაც, წაიკითხა „მუმუ" და საყვედური უთხრა შვილს: შენი მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის — დესპოტი ბატონი ქალის პროტოტიპად მე ვიგულისხმები, ნუთუ არა გრცხვენია, რომ მშობელს ასე ლანძღავო?!.. განა ეს კაპრიზია? არა! დოქტორმა არ იცის, რომ ეს უცხო სიტყვა ნიშნავს: ახირებულ სურვილს. კაპრიზსა და საყვედურს შორის მეტისმეტად დიდი განსხვავებაა! ეს ერთი. ახლა მეორე: თოფურია „განმარტავს", რომ ი. ტურგენევის დედამ შვილს დააბრალა: მრისხანე ქალბატონის სახით მე დამხატეო! ესეც სიცრუეა, დაბრალება იმას ნიშნავს, მოგაწერონ ის, რაც არ გაგიკეთებია! არადა, ყველას კარგად მოეხსენება, ი. ტურგენევის „მუმუს" ერთ-ერთი მოქმედი პირის — დესპოტი მემამულის პროტოტიპი ნამდვილად მწერლის დედაა!..

რუსი მწერლის დედის პორტრეტი რომ **„დაასრულა"**, მერე ლეო ქიაჩელის მშობლის სურათი **„დახატა"** პროფესორმა. მწერლის დედას ა. თოფურია ფუნჯის ერთი „დიდოსტატური" მოსმით ახასიათებს: „აზნაურის **ამპარტავანი** ქალი — ლეოს დედა" (გვ. 54).

ამპარტავანი, ვინ არ იცის, გადაჰარბებით ამაყს, ქედმაღალს, მედიდურს ნიშნავს, იგი პიროვნების მაძაგებელი სიტყვაა. ა. თოფურიას „ფაქტები" კი ვერ ადასტურებს, რომ ლეო ქიაჩელის დედა ამპარტავანი იყო. მწერლის დედას თანამედროვენი ახასიათებენ, როგორც გამრჯე, კეთილსინდისიერ, სათნო, ცოდნისმოყვარე ქალს. ამგვარად, ლეო ქიაჩელის დედის ამპარტავნად მონათვლა მისი შეურაცხყოფაცაა და აშკარა ცილისწამებაც.

ერთგან ჩვენი პროფესორი „განმარტავს": „ნაწარმოებში ნაკლებად არის გამოყენებული დიალექტიზმი, პროვინციალიზმი. გვხვდება მისი ცალკეული, ერთეული შემთხვევები (მაგალითად, რუსიციზმის... ბარბარიზმისა"). აქ ორი „მარგალიტი" ბრწყინავს: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს „დიალექტიზმი" და „პროვინციალიზმი" სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები ჰგონია. 2. „რუსიციზმები", „ბარბარიზმები" „დიალექტიზმის", ანუ „პროვინციალიზმის" ცალკეულ, ერთეულ შემთხვევებად" მიაჩნია (?!).

ის, ვინც ა. თოფურიას ჩიქორთულით დაწერილ წიგნებს წაიკითხავს, უთუოდ გულისტკივილით გაიხსენებს ი. ჭავჭავაძის ცნობილ სიტყვებს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?... ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს".

ცხადია, პედაგოგიური საზოგადოება ვერ გაბედავდა ხალხის აზრის ასე აშკარა უგულებელყოფას და პრემიით ვერ დააჯილდოებდა ა. თოფურიას საბრალო ნაშრომს, მაგრამ მტკიცედ ვრწმუნდებით: მას იმისი იმედი ჰქონდა, ამ სამარცხვინო ფაქტს გამკითხავი არ გამოუჩნდებოდა ამჯერადაც, როგორც წინათ. სამწუხაროდ, პედაგოგიური საზოგადოების ასეთ რწმენას ალბათ კიდევ უფრო განამტკიცებს თბილისის უნივერსიტეტში შექმნილი კომპეტენტური კომისიის დასკვნის ზოგიერთი მონაკვეთიც, რომლებიც სრულიად არ შეეფერება ა. თოფურიას წიგნების მანკიერებების სწორ ანალიზს. აშკარაა, კოლეგებმა მაინც ვერ „გაიმეტეს" **პროფესორი** და საჭიროდ არ მიიჩნიეს, ბოლომდე ეთქვათ სიმართლე. ამიტომაც დასკვნის ბოლოს კომისია რბილად შენიშნავს: „საერთოდ... ა. თოფურიას შრომა ლეო ქიაჩელზე არის ერთი **ჩვეულებრივი** წიგნი, რომლის არც ზედმეტი ქება იყო საჭირო და არც ზედმეტი გინება".

„ჩვეულებრივი წიგნი?!", განა ასეთი ნაშრომი „ჩვეულებრივია?!" ვაი, რომ, ის **„არაჩვეულებრივი"** წიგნია, რომელიც პლაგიატის, მტკიცე, საიმედო არგუმენტის ანტიმეცნიერულად უგულებელყოფის, სამეცნიერო ტერმინების აღრევის, ნონსენსური მსჯელობის, მშობლიური ენის უპატივცემლობისა და შეურაცხყოფის კონგლომერატია, ჭრელი კონგლომერატი!

ალბათ, ახლა მაინც ამდენი ცოდვა-ბრალისათვის პასუხს აგებს ა. თოფურიაც და მისი ერთობ საეჭვო მფარველნიც, რომელთა ფსევდომეცნიერულმა რეცენზიებმა უზრუნველყო **პროფესორის** „მაღალი რეიტინგი"...

ახლა დროა მოკლედ გავაანალიზოთ ა. თოფურიას მეორე წიგნი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა".

დავიწყოთ იმით, რომ ეპიკური და პროზაული მხატვრული ნაწარმოებების სწავლების აქტუალურ საკითხზე ა. თოფურიამ თავიდან ბოლომდე გადაიწერა რუსი მეცნიერის ნაშრომის ვრცელი მონაკვეთი (ვ. ვ. გოლუბკოვი. ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, 1952, გვ. 74. შდრ. ა. თოფურიას „მეთოდიკა", გვ. 158). ვ. გოლუბკოვის მოსაზრება ა. თოფურიამ თავის „ორიგინალურ მეთოდიკურ არსენალში" დაამკვიდრა. მაშინ ქართველ „სწავლულს" ნაქურდალზე მიუთითეს. მხილებისთანავე „მეთოდიკის" სხვა გამოცემებში ვ. გოლუბკოვის სქემა მთლიანად „გაქრა", მაგრამ დარჩა პლაგიატის ავბედითი კვალი: „სქემის თითოეული მომენტი ამ პროცესში ჩატარებული მუშაობის ორგანული, შემადგენელი ნაწილია" (გვ. 124).

აი, ზემოდასახელებული კომისიის დასკვნის ერთი პუნქტი: სწორია რეცენზენტის შენიშვნა, რომ „კრიტიკული წერილების შემდეგ ა. თოფურიას თავის წიგნში არ შეჰქონდა სხვა ავტორთა შრომებთან თანხვედრილი ადგილები, მაგრამ მექანიკურად ამოღების გამო პირველწყაროს კვალი რჩებოდა, მაგალითად, 1957 წლის გამოცემაში (I, 1957, გვ. 58) შესული გოლუბკოვისეული სქემა მხატვრული ნაწარმოების შესწავლის თაობაზე ამოიღო მომდევნო გამოცემებში, მაგრამ დარჩა: „სქემის თითოეული მომენტი", რომელიც აშკარავებს, რომ პირველწყაროზე დამოკიდებულების კვალი დარჩა".

ამგვარად, ოპერაცია „სქემა" წარმატებლად განხორციელდა: „მეთოდიკაში" სქემა აღარ არის დაბეჭდილი, მაგრამ თოფურია მას ჰაიჰარად მაინც მოიხსენიებს. ალბათ, ამას თუ უწოდებენ პლაგიატის 1001 სახესხვაობას.

ახლა გავეცნოთ ა. თოფურიას ახალ **„ორიგინალურ"** მოსაზრებას: „აქ წინა პლანზე წამოწეულია არა მხატვრული ნაწარმოების ფორმის, ჟანრობრივი სახეების, ტროპების და ფიგურალური გამოთქმების **მშრალი გაზეპირება** (ალბათ, **ხელი გაზეპირებაც** არის!! ჯ. დ.), არა ენობრივ-გრამატიკული ვარჯიში, არამედ იმის დადგენა, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რა მხარე გამოსახა მწერალმა... ენის, კომპოზიციის, ჟანრობრივი სხვადასხვაობისა და სახეთა სისტემის ანალიზი სტოიუნინის მეთოდურ მემკვიდრეობაში ემორჩილება მთავარი იდეური აზრის გახსნას" (გვ. 41).

ა. თოფურიას ეს **„ანალიზი"** სტოიუნინის მოსაზრების შესახებ ს. სმირნოვის მიერ გაკეთებული დასკვნის **„შემოქმედებითად"**, **„ნოვატორულად"** მითვისების **„უმანკო ნიმუშია"**:

ტექსტების ურთიერთშედარებით მკითხველი დარწმუნდება, რომ ჩვენი **„მეთოდისტი"** ერთგულად **„მიბაძავს" ს. სმირნოვს.** მხოლოდ შემდეგ ამ „დასკვნასაც" ა. თოფურიამ „მეთოდიკის" ახალ გამოცემაში აღარ აღირსა მზის სინათლე.

პროფ. ვ. გოლუბკოვი წერს: «все ошибки могут быть разбиты на 3 основные группы: ошибки в содержании, в планировании и в изложении».

საინტერესოა, ა. თოფურიას „ორიგინალური" მოსაზრება ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ: „მოსწავლეთა მიერ დაშვებული **შეცდომები** შეიძლება სამ ძირითად კატეგორიად დავაჯგუფოთ: 1. შეცდომები, დაკავშირებული ნაწერის შინაარსობრივ მხარესთან. 2. შეცდომები, დაკავშირებული თხზულების გეგმასთან, 3. შეცდომები, დაკავშირებული გადმოცემის სისწორესთან" (გვ. 428). წავიკითხოთ ა. თოფურიას ეს ღელარწნილი წინადადებაც: სალექსიკონო მუშაობა „შეიძლება მოვაქციოთ შესავალ სიტყვაში, ვაწარმოოთ ჩვენს მიერ პირველად წაკითხვის წინ, კითხვის პროცესში, გზადაგზა, წაკითხვის შემდეგ, გეგმის შედგენაზე და ნაწარმოების ანალიზის დროს გმირთა დახასიათებაზე მუშაობისას" (გვ. 139). ა. თოფურიას ამ **„დებულებას"** შევადაროთ რუსი მეცნიერის მოსაზრება: «объяснение слов и оборотов речи можно вести в различные моменты работы с литературным текстом: 1) перед чтением произведения, 2) попутно с чтением, 3) после чтения, в процессе разбора и 4) после разбора».

სიტყვიერების ნებისმიერ მასწავლებელს უკომენტაროდაც ადვილად შეუძლია ა. თოფურიას **„დიდი ღვაწლის"** ზუსტი ატესტაცია.

ა. თოფურიას დამოუკიდებელი „კვლევაძიებითი მუშაობისა" და მის მიერ გამოთქმული „ორიგინალური" მოსაზრების საილუსტრაციოდ წავიკითხოთ რუსული წიგნის ორიოდე წინადადება: «составление плана — сложный процесс, в котором наиболее существенны два момента: 1) анализ текста и выделение в нем отдельных частей... 2) выяснение основной темы каждой части и формулировка заголовков плана».

იგივე საკითხი ა. თოფურიამ „დამოუკიდებლად" ასე გაარკვია: „გეგმის შედგენაში ყველაზე ძნელი მომენტია ნაწარმოების სურათებად დაყოფა და ამ სურათებისათვის შესაფერისი სათაურების გამოძებნა" (გვ. 174). რუსული და ქართული ტექსტების ურთიერთშედარება ადასტურებს, რომ „მეთოდიკის" ციტირებულ მონაკვეთში, პლაგიატთან ერთად, აშკარა არეულ-დარეულობაა.

რუსმა მეთოდისტმა ვ. სოროკინმა წიგნში „ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი საშუალო სკოლაში" (1955, გვ. 156) თავისი ერთ-ერთი დებულების საილუსტრაციოდ გამოიყენა მ. გორკის მოსაზრება: «для писателя необходимо широкое знакомство со всем запасом слов богатейшего нашего словаря и необходимо умение выбирать из него наиболее **точные, ясные, сильные слова**. Только сочетание таких слов и правильная, по смыслу их, расстановка этих слов между точками может образцово оформить мысли автора, создать яркие картины, вылепить живые фигуры людей настолько убедительно, что читатель увидит изображенное автором».

ა. თოფურიას **„მეცნიერულ არსენალში"** მ. გორკიმ ასე დაიკავა „კუთვნილი" ადგილი: „მწერლის ოსტატობა ვლინდება ენის მთელი ლექსიკური მარაგიდან ყველაზე ზუსტი, მკვეთრი, ნათელი სიტყვების შერჩევასა და წერტილთა შორის ამ სიტყვების ისეთ განლაგებაში, რომ მკითხველის წინაშე ცხადად წარმოდგეს ღრმა აზრის გამომხატველი წარმტაცი მხატვრული სურათები, ადამიანთა ცოცხალი და შთამაგონებელი სახეები (გვ. 71).

ამგვარად, მკითხველი მტკიცედ დარწმუნდა: ა. თოფურია ისე ძლიერ „დამუხტა" მ. გორკიმ, რომ ამ ეპიზოდში შეუფერხებლად და ზუსტად ფუნქციონირებს მისი პლაგიატორული ნიჭი და უნარი.

ზემოდასახელებული კომისია წერს: „ა. თოფურიას გამოყენებული აქვს მ. გორკის მოსაზრება, მოჰყავს პერიფრაზირებით მწერლის სიტყვები ვ. სოროკინის წიგნიდან, მაგრამ არ ასახელებს არც მ. გორკის და არც სოროკინის თხზულებებს. მართალია, მ. გორკი დამოწმებულია წინა გვერდზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაუსახელებლად მოყვანილ მ. გორკის სიტყვებში, რომლებიც ი. გოგებაშვილის წიგნიდან ციტირებულ ადგილს მოსდევს, მაინცდამაინც მკითხველმა ისევ მ. გორკის ავტორობა დაინახოს. საჭირო იყო წყაროს დასახელება, მით უმეტეს ზოგი წინადადება პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს მ. გორკის სიტყვებისას («расстановка этих слов между точками». შდრ. «წერტილთა შორის ამ სიტყვების განლაგებაში». ა. თოფურიას შრომა, 1983, გვ. 71).

აქ ძალიან მოკლედ განვმარტავ ა. თოფურიას **„შემოქმედების"** ძნელ, მტკივნეულ ეტაპს. პლაგიატში მამხილებლებმა სხვადასხვა წიგნების წაკითხვისთანავე ა. თოფურიამ წიგნს „ოპერაცია" გაუკეთა: ბევრი „გააქრო" ახალი გამოცემებიდან. ოღონდაც, ყველა პლაგიატური ადგილის „ლიკვიდაცია" გაუჭირდა, რის გამოც დოქტორმა გამოიყენა „პიკანტური" მეთოდი: „მეთოდიკის" ახალ გამოცემებში სხვებისგან მითვისებულ მოსაზრებებს წაუმძღვარა სიტყვები: „სამეცნიერო მეთოდიკურ ლიტერატურაში კანონზომიერად შეხედულებით", „სამეცნიერო-პედაგოგიკურ ლიტერატურაში მოცემული რეკომენდაციების მიხედვით", „სკოლების მოწინავე მასწავლებელთა პრაქტიკულ-პედაგოგიური გამოცდილებისა და სამეცნიერო-მეთოდიკური ლიტერატურის მონაცემების განზოგადოების საფუძველზე" და ა. შ. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისია წერს: „...ა. თოფურიამ მიითვისა ს. სმირნოვის აზრი წერითი სამუშაოს ორი მთავარი ჯგუფის შესახებ. გაკრიტიკების შემდეგ ეს ადგილი მაინც დატოვა დაუსახელებლად და იმით იმართლა თავი, რომ სმირნოვის აზრი „სამეცნიერო-მეთოდიკურ ლიტერატურაში კანონზომიერ შეხედულებად გამოსახადა" („მეთოდიკა", 1963, გვ. 368; 1974, გვ. 236). მაგრამ რეცენზენტი მიუთითებს, რომ სმირნოვის აზრი არაა „კანონზომიერი", მაგალითად, ვ. გოლუბკოვს სხვაგვარი შეხედულება ჰქონია, რასაც დამოწმებული ადგილი ცხადყოფს".

ამგვარად, ა. თოფურიამ „სესხი" მთლიანად მაინც არ დაუბრუნა პატრონებს.

ცალკე მსჯელობის საგნად შეიძლება იქცეს ისიც, თუ როგორ მიითვისა ბატონმა პროფესორმა ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრება ნ. ბარათაშვილის ცნობილი სტრიქონების შესახებ („მორბის არაგვი არაგვიანი").

ა. თოფურიას წიგნებში „დამოუკიდებელი კვლევა-ძიებითი მუშაობის" შედეგია და საკითხისადმი „საკუთარი კონცეფციით", „ძიებით", „ახლებური მიდგომაა" მხოლოდ წინადადებები, რომლებსაც იგი თხზავს **„სანიმუშო მხატვრული"** სტილით: 1. „სასკოლო-ლექციური მეთოდის გამოუყენებლად ძნელი ხდება ისტორიულ-ლიტერატურული კურსის დაბურულ, მრავალ საუკუნოვან, ათასფრად „ამწვანებულ ტყეში" გზის გაგნება. რა არ ცვლის აქ ერთმანეთს, რა არ ეხლართება რას, რა შორი მანძილია გასავლელი და მერე როგორი გრაფიკით!

ვრცელი პროგრამები და შედარებით მცირე დრო თითქოს გამუდმებით... ჩაგძახიან: „არ გაიჭრა, შორს, მოზომე, ნუ გაგიტაცებს შვლის ნუკრი, ყელმოღერებული ირემი, კლდეზე გადმომდგარი ჯიხვი, ისწრაფე და მართლაც რამდენი საინტერესო საკითხი რჩება განუხილავი! რამდენი გამონათებს და ჰქრება!" 2. „და აი, ჩვენ ახლა ამ „ვარდის" წინაშე ვდგავართ. მის „შესავალ კარებთან" უნდა დარჩეს ყოველგვარი გულგრილობა, ზოგადობა. წინასწარ აღმართული ინტერესით (ნეტავ, რას ნიშნავს **ინტერესის აღმართვა?!** ჯ. დ.), სასიამოვნო თრთოლვით („ის ტიროდა მდუღარედ, თრთოლვით, აღელვებით" მზაღოზე იტყოდა ხოლმე მულტატულივით ჭეშმარიტი შემოქმედებისათვის დაბადებული და დაფერფლილი ალექსანდრე ყაზბეგი) და მხურვალე გრძნობით უნდა გადაიფურცლოს მისი პირველი ფურცელი. ერუნტელი და განცდა, წარმოსახვა და წარმოდგენა, უშუალო აღქმა და „ცოცხალი ემოცია" წინ უნდა უსწრებდეს აქ კამათსა და განსჯას, დასკვნას და ლოგიკას, ანალიზს და სინთეზს, მუშაობის ყველა იმ სახეს, რომელიც ამ „ვარდის" გარშემო მოგვიხდება ჩავატაროთ" (იხ. იქვე, გვ. 190. სტილი აქაც და სხვაგანაც დაცულია, ჯ. დ.). 3. „შეუძლებელია შამეტის „ოქროს ვარდი" გიიბადვდეს და თვით შამეტის სიკვდილი გულს არ გწვავდეს, ესწრაფოდეთ ვარდის მშვენიერებას და ხელში დოსტაქარის დანა გეჭიროს, ოცნებებში გესახებოდეს ტანჯული ადამიანის სახე და მისი შემქმნელის ტალანტით მოჯადოებული არ იყო" (იხ. იქვე, გვ. 191).

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, „ნაშრომების" თითქმის ყველა გვერდი ხომ სავსეა ამგვარი „მარგალიტებით". მაგრამ თითო-ოროლა მათგანზე მაინც ღირს კიდევ მკითხველის ყურადღების შეჩერება.

ვნახოთ, რა სიბრძნეს გვაზიარებს, კერძოდ, პრემირებული პროფესორი: **I. „ვარკვევთ რა მათ ძირხვი და ფუძეს, მაწარმოებელ სუფიქსება და აფიქსებს"...**

ნეტავ, რას ნიშნავს „სუფიქსები და აფიქსები"?! აფიქსი ხომ პრეფიქსისა და სუფიქსის საერთო სახელწოდებაა, აბა, ვის შეუძლია აქედან რაიმე აზრი გამოიტანოს!

II. „პურის ახალ ამოსულ ნორჩ ღეროებს თავთავები ეწოდება, ხოლო ასეთი თავთავებით დაფარულ მინდორს — ჯეჯილი". ეს აშკარა გალიმატიაა: 1. ნუთუ ღეროებს ეწოდება თავთავები, თუ ისინი იხსამენ მათ?! 2. განა რომელიმე ნორმალური ქართველი იტყვის, ნორჩ ღეროებს თავთავები ეწოდება ან თავთავებით დაფარულ მინდორს — ჯეჯილი?!.. ა. თოფურიამ არ იცის, რომ ჯეჯილი პურეულის (ხორბლის, ქერის), აღმონაცენია თავთავის დასხმამდე.

III. სახლის ერთ ოთახში „ცეცხლი მიწის შუა ადგილას ენთო". რის შესახებ მსჯელობს აქ ავტორი? ალბათ, შუა ცეცხლის შესახებ — მარჩიელობს მკითხველი.

IV. „მეორე ოთახი დაფარული იყო მოტიტვლებული მიწით". აქ მარჩიელობაც ვერ დაგვეხმარება, რომ გავიგოთ, თუ რა არის **„მოტიტვლებული მიწით დაფარული ოთახი? (?!).**

V. „ზურგით გასწორდი". მაშ, უკვე უფლება გვაქვს, რომ ვთქვათ და ვწეროთ: ფეხით გასწორდი, ხელით გასწორდი, რადგანაც **პროფესორმა** მოგვცა ნიმუში.

VI. „ვთქვი ცოტა იკიბო-ბიკიბოდ". ეს სიტყვა ქართული არ არის, რის გამოც გაუგებარია, თუ რა აზრი გამოხატა ავტორმა ამ წინადადებაში?! და ა. შ. ისე კი, ნეტავ, მართლაც ცოტა ეთქვა „იკიბო-ბიკიბოდ"!

ახლა აღნიშნულს ისიც დავუმატოთ, რომ პატივცემული დოქტორი ყველა უცხო სიტყვას უღვთოდ ამახინჯებს. წერს: ექსპერიმენტალური, პროჟექტორულობა, დოზიფიკაცია, ორბიტი, იდეალიზირება, სისტემატიზირება, ლეიტმოტივი, ჟანრობრიობა და ა. შ.

მას, ვინც დაკვირვებით წაიკითხავს ა. თოფურიას ჩიქორთულით დაწერილ მანკიერ წიგნს, აუცილებლად გაახსენდება გამოჩენილი ენათმეცნიერის ღრმად გააზრებული სტრიქონები: „კაცს დიპლომი უჭირავს ხელში და წერა არ შეუძლია: აზრს ვერ გამოთქვამს წესიერად, ე. ი. წიგნიერება აკლია. დიპლომი არ შეიძლება მიეცეს მცირე წიგნიერს, მით უფრო — უწიგნურს" (არნ. ჩიქობავა. განათლების ზოგიერთი საკითხი ჩვენში. იხ. „კომუნისტი", 1988, 4 მაისი).

დასასრულ ხაზგასმით აღვნიშნავთ: თბილისის უნივერსიტეტის კომისიის დასკვნაში ა. თოფურიას წიგნების ერთი რაციონალური მარცვალიც კი არ არის აღნიშნული. მასში ამა თუ იმ საკითხის შესახებ მსჯელობისას ხაზგასმითაა აღნიშნული: 1. „სწორია რეცენზენტი, როცა წერს". 2. „სწორია შენიშვნა". 3. „სწორია რეცენზენტი, რასაც დამოწმებული ადგილი ცხადყოფს". 4. „რეცენზენტის მიერ შემჩნეულ შეცდომათა საგრძნობი ნაწილი ა. თოფურიას წიგნში, სამწუხაროდ, არის". 5. კრიტიკული წერილების გამოქვეყნების შემდეგ „საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ა. თოფურიას შრომის მომდევნო გამოცემებში თანდათან კლებულობს რუს ავტორთა შრომებიდან თანხვედრილი ადგილების რაოდენობა". 6. „ოპონენტების შენიშვნები არსებითად სწორია". 7. „არ შეეფერება სინამდვილეს ა. თოფურიას მოსაზრება". 8. „არ არის სარწმუნო ა. თოფურიას მსჯელობა". 9. „არადამაჯერებელია ა. თოფურიას მიერ"... 10. „არ არის სწორი ა. თოფურია, როცა წერს"... და ა. შ.

ყოველივე ამის შემდეგ კი კომისია მოკრძალებით წერს: „კარგი იქნებოდა, რომ პროფ. ა. თოფურიას თავი შეეკავებინა მრავალჯერ მკაცრად გაკრიტიკებული წიგნის პრემიაზე წარდგენისაგან".

[illegible], თოფურია რა თავშეკავებულიც არის, როცა საქმე საკუთარი ნაშრომ-ნაღვაწის შეფასებაზე მიდგება, ამას დიდი კვლევა-ძიება არ უნდა. მაგრამ ამ თავშეკავებულ კაცს რომ ჯილდოებითა და პრემიებით ახალისებენ, ისინი რითია იმართლებენ თავს.

ერთადერთი აქვს ყოველივე ამას „გამართლება": ხელი ხელსა ჰბანს — უბრძანებია ხალხს.

ვაი, ამნაირად დაბანილ ხელს და შერცხვენილ პირს!

ჯოდორ დადიანი

რედაქციისაგან: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის ჯოდორ დადიანის ეს წერილი არაერთ რედაქციაში დაიწუნდა არაერთხელ. მიზეზი ყოველთვის ნათელი და უბრალო იყო: ერიდებოდნენ მაგათა განაწყენებას.

ღმერთო, რჯულო, არც ჩვენ განგვეიზრახავს ვინმესთვის საგანგებოდ გვეტკინა გული. არც არას პრეტენზია აკაკი თოფურიას ვერჩით. რაგინდ ცდებოდეს, ადამიანს ვერ დაადანაშაულებ, შენი დაწერილი წიგნი შედევრი რატომ გგონიაო. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენში ჯერ ისევ მკვიდრად არის ფესვგადგმული „ხელი ხელსა ჰბანს"... პრინციპი. ეგერიგად არავის არაფერი ეშლება, ეგერიგად არავის უჭირს თეთრისა და შავის გარჩევა. მოკლედ რომ ვთქვათ, ხშირად, ძალიან ხშირად და ამ კერძო შემთხვევაშიც შეგნებულად არის იგნორირებული საზოგადოებრივი აზრი: უნდოდათ და ხოტბა შეასხეს საჭირო კაცს, უნდოდათ და პრემიით აღნიშნეს მისი ნაფიქრ-ნააზრევი.

აი, ამ მანკიერი მოვლენის დასაგმობად გადავწყვიტეთ წერილის გამოქვეყნება, რადგან გვწამს, მსგავსი მაგალითი ვნებს არა მარტო მეცნიერებას, არამედ, რაც არსებითია, ზნეობას.

რეპლიკა

აი, „იმედი!“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ წინაშე დღეს უამრავი პრობლემა დგას (პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ეთნიკური...).

მაგრამ მაინც არის ერთი ისეთი პრობლემა, რომლის წარმატებით გადაჭრაზეც მომავალში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

ესაა დემოგრაფიული პრობლემა.

დიახ, თუ ქართველი ხალხი მომავალ, დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არ იქნება, ეჭვქვეშ დადგება (დააყენებენ) მისი უფლება, უბრალოდ, საკუთარი ქვეყნის გამგებლობაზეც კი. (საფრთხეში აღმოჩნდება პარლამენტის, მთავრობის, არმიის ქართულობის საკითხი — ყოველ ქვეყანაში ხომ ის იმარჯვებს არჩევნებში, გაბატონებულ პოზიციებს იკავებს არმიაში, ვინც უმრავლესობას წარმოადგენს ამ ქვეყანაში).

მოსახლეობის გამრავლების ტემპები კი ჩვენში სხვათა სასარგებლოდაა, დემოგრაფიული ფაქტორი სხვათა სასარგებლოდ მუშაობს.

დღეს ამის შესახებ ბევრი იწერება. ბევრი ლაპარაკია, ხალხიც თითქოს გამოფხიზლდა...

ამგვარ სიტუაციაში, როდესაც მიმდინარეობს ქართველების მიერ ზემოაღნიშნული საფრთხის გაცნობიერების პროცესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხის, პრობლემის ირგვლივ მართალი, ობიექტური, მამულიშვილური პათოსით გამსჭვალული პუბლიკაციების, ინფორმაციის მიწოდებას, მათ ავტორებს დიდი ყურადღება მართებთ, რათა ისეთი რამ არ „გაეპაროთ“, რაც ცრუდამშვიდების ელემენტს შეიტანს ხალხში, აფიქრებინებს, არც ისე ცუდად ყოფილა საქმეო... ქართველი კაცის ხასიათი კი ხომ მოგეხსენებათ, ერთი თუ დამშვიდდა...

რასთან დაკავშირებით დამჭირდა ყოველივე ამის თქმა?

დამჭირდა ერთ ამგვარ არასასურველ ინფორმაციასთან, უფრო სწორად, მასში გატარებულ ტენდენციასთან, ყალბ პათოსთან დაკავშირებით.

რამდენიმე ხნის წინ გამოიცა მორიგი, 1990 წლის ქართული წიგნაკი — კალენდარი.

ჩვენმა საზოგადოებამ ერთობ უარყოფითად მიიღო ეს, „ძველი“, „ბოლშევიკური სტილით“ გაკეთებული კალენდარი. „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა ფელიქს კოჭიაშვილის კრიტიკული წერილიც.

სამწუხაროდ, ამ წერილში არ აისახა კალენდარში „გაპარული“ ერთი, მეტად საგანგაშო ფაქტი, რომლის უყურადღებოდ დატოვება ვფიქრობ, არაფრით იქნება გამართლებული.

კერძოდ, საქმე ეხება შემდეგს: „ჩვენ და ჩვენი რესპუბლიკა მომავალში“ ასე ჰქვია დემოგრაფიული საკითხისადმი მიძღვნილ მასალას (იხ. 18 იანვარი).

მასში ვკითხულობთ:

„ჩვენს რესპუბლიკაში ქართველების რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის 68,8 პროცენტს შეადგენს. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ (ხაზგასმა აქაც და შემდეგაც ჩემია — ბ. ბ.) ისიც, რომ საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ იბადება 60 ათასზე მეტი ქართველი, რაც შეადგენს მთლიანად რესპუბლიკაში დაბადებულთა 65,5 პროცენტს. ხოლო ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატება საშუალოდ წლიწადში 30 ათას კაცს ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ. რესპუბლიკის სტატსახკომის პერსპექტიული გაანგარიშებით 2016 წელს, 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 5.608 ათასი კაცი იქნება. დღეს საქართველოში, ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატება საერთოდ რომ შეწყდეს, 2025 წელს მათი რაოდენობა ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲡ“.

დავაკვირდეთ, როგორი ინტონაციითაა მოწოდებული ეს ინფორმაცია. კალენდრის შემდგენლებსა და სტატსახკომის მესვეურებს დიდად სატრაბახოდ, „აღსანიშნავად“ მიაჩნიათ ის, რომ საქართველოში ქართველების რაოდენობა 68,8 პროცენტს შეადგენს, თითქოსდა ეს ციფრი, პროცენტი ძალიან მაღალი იყოს, ისეთი, მკვიდრ ერს რომ ეკუთვნის. შეეფერება! განა იმას ამბობენ, „უჩიჩინებენ“ ქართველ მკითხველს, მხოლოდ 68,8 პროცენტი ვართ, „აღსანიშნავიაო“, „აიმედებენ“!

ყალბად პათეტიკურია განცხადებაც, ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატება საშუალოდ წელიწადში 30 ათას კაცს აღემატებაო (ტაჯიკებმა, უზბეკებმა, აზერბაიჯანელებმა და სხვებმა რაღა უნდა თქვან მაშინ, როცა მათი ბუნებრივი მატება 1000 სულ მოსახლეზე შეადგენს შესაბამისად 30,5 კაცს, 27,7-ს და 19,4-ს. ხოლო საქართველოში — 6,9-ს, ისიც ბევრწილად არაქართველთა ხარჯზე).

დაბოლოს, „ოპტიმისტური აპოთეოზი“: დღეს საქართველოში ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატება საერთოდ რომ შეწყდეს, 2025 წელს მათი რაოდენობა მაინც გადააჭარბებს ერთ მილიონსო.

როგორც იტყვიან, ამაზე უკეთესს, „გულის გასაკეთებელს“ რას გაიგებდა კაცი: მაინცდამაინც თავს ნუ მოიკლავთ, ხალხო, გამრავლებით, სულერთია, 2025 წელს ერთ მილიონს მაინც გადავაჭარბებთო!

ძალიან კარგი, ასე შესანიშნავად რომ ამხნევებთ ქართველ ხალხს, მაგრამ ერთი ისიც ბრძანეთ, კალენდრის პატივცემულო შემდგენლებო და სტატსახკომის მესვეურებო: ის თუ გამოიანგარიშეთ, ეს „დიდი“ ციფრი საკმარისი თუ იქნება იმისათვის, რომ საქართველო მართლაც საქართველო იყოს?! სხვათა ბუნებრივი მატების ტემპი რომ არ შენელდეს, ისინი რამდენი იქნებიან იმ დროისათვის აქ?!

ბენია გეკამელი

სეთი ალიაქოთი!

ველად მივესალმები ახალი
რია მისი გამოჩენა ქართუ-
გლოვინა და თავისუფლები-
სურვებ „კაბადონ-8“-ს სა-

მომხრე და მონატრული
ჩვენს ჰერქვეშ მეგობართა
ლებისა, გვარების აღდგენი-
ულწრფელი ადამიანების მო-
ებისა, რა ერის წარმომად-
იც უნდა იყოს იგი. გადაჭ-
წინააღმდეგი ვართ ორგულო-
ნდობების, გველის პერანგით
ვის, ფარისევლობისა და ისე-
ულისკვეთებისა, მოურიდებ-
რომ გამოხატა გვარის გამოც-
ერთმა მსურველმა, ვინმე
როცა ჰკითხეს: ფერეიდნელ-
თველებმა და თურქეთში
ნილებმა სამასი წელი შეინა-
ქართული ენა, დღემდე
ვთ ნოსტალგია, თქვენ, თბი-
დაბადებულმა და გაზრდი-
ამ, ქართული რატომ არ
უტიფრად მიუგო: „ქართუ-
დ დამჭირდება? ესაა ოჯახში
რაკო ენა, მე მსოფლიო ენა-
ლაპარაკებ, ოქტომბრის ენა-
ფიქრობ ასეთი ადამიანი ერს
ში გამოადგება. დე, იყოს
გვარზე, თავისი გვარით
ს ან შემიყვარის და არა
ულმა. მერე, ასეთების მხო-
პრესტიჟული გვარები უნ-
აც თავისთავად უკვე სიყა-
ნიშანია, და ზოგ მათგანს
თ სწორი პასუხი გასცა ბ-
ანდ თოფჩიშვილმა: მე არ
ვება ეთნოგრაფიული ცნო-
რომლებიც თქვენი გვარის
ლას გაამართლებსო.
კატეგორია ადამიანებისა,
ც მუქარით მიმართავენ
თანამშრომლებს (სხვათა
მეც მქონია კავშირი და
ობა მმაჩის მუშაკებთან,
და კანონის გუშაგებთან, შე-
ი მოღვაწეები არიან და მა-
„ცხრაპირ ტყავს“ გაძრო-
ალდება (ცილისწამებაა).
გამოიცა დრამატურგისა და
დებული პატრიოტის კრი-

ტიკულმა ტონმა, თითქოს ტაძარი დამექციოს! ჩემი პირადი წერილი განსჯის საგნად არ მექცევა, არც მისი გამოქვეყნება მითხოვია და არც ის ვიცოდი, თუ „ქალაქში ხელნაწერის სახით ვრცელდება“, რისი გავრცელებაც მინდა, იმას მე ვაქვეყნებ ხოლმე, და ვის რა უფლება აქვს პრესაში შეუთანხმებლად გაიტანოს ჩემი ხელნაწერი? არის ამაში რაღაც უტაქტობა, რომ მტრები გამიმრავლოს. მტრების გამრავლებისა არასოდეს შემშინებია და მარტო მოსკოვის უმაღლეს ინსტანციებში გაგზავნილი ჩემი წერილები და პამფლეტები მთელ წიგნს შეადგენენ, მაგრამ ეს ფაქტი სხვადასხვაგვარად ჟღერს, თან დამადანაშაულებელი მოტივებითაა გამაგრებული: თითქოს ჩემი შეთხზული იყოს ზოგიერთი განმცხადებლის აგდებული დამოკიდებულება იმ ერისადმი, რომლის ჰერქვეშ შემოსვლაც საბედნიეროდ განუზრახავს. ფრაზა: „ვინ იყო გურამიშვილი, მაგი არ მაინტერესებსო“ — აქ ბ-ნი კიტა ქართულს მიწუნებს (სხვათა სიტყვაში!), თვითონ კი თავისი საპოლემიკო წერილი არაერთი საჩოთირო გამოთქმით დაუმძიმებია. მაგალითად, რა ცინიზმია ამ წინადადებაში: „ჩვენ, ქართველები, უკვე კარგახანია, ამოწყდომის უფსკრულისაკენ თოხარიკით მივექანებით“, და „დრო დაგვიდგა ისეთი, ამ ავბედითობაზე ველაპარაკებით და არაფერს დავიშურებთ თავის გამოსახსნელად“! რამდენადაც ვიცი, ბიბლიურ სიბრძნეს არც ერთი სტრიქონით არ გაუძლიერებია ერის რიგები უცხო თესლის შემომტკიცებით, და ერის შენარჩუნების ეს მეთოდი ცოტა უცნაური ხომ არ ჩანს? მე პირადად ოპტიმისტი ვარ და იმედი მაქვს საკუთარი ძალებითაც დავძლევთ ჩვენს დემოგრაფიულ კრიზისს, არ გავახარებთ მტერს ჩვენი „თოხარიკით“, „ამოწყდომის უფსკრულისაკენ“! არც ისე ცუდად გვაქვს საქმე... ამ საერთო საქმეში, ბ-ნო კიტა, „გელოვანისნაირები“ ხელს არ შეგიშლიან, და არა მგონია მართებული იყოს თქვენი ბრალდება, თითქოს ჩემნაირებმა გადაუკეტეს წარსულში გზა იმათ, რომელთაც ჩვენს ჰერქვეშ შემოსვლა ისურვეს.

მე არ მეშინია ჩემი ხელნაწერების საქვეყნო სამსჯავროზე გამოტანისა, მაგრამ ისეთი ალიაქოთი, რაც ჩემს ორგვერდიან წერილს მოჰყვა, უცნაურია.

ბ-ნ კიტას წერილში ჩვეულებრივი შენიშვნების გარდა მძიმე ბრალდებებიცაა, ამასთან დაუშვებლად მიმაჩნია ის პასაჟი, რაც ქ-ნ ინეზა ცნობილაძეს ეხება. ეს მანდილოსანი ჩემზე და ჩემს მეგობარზე ნაკლები პატრიოტი არაა და მის მიერ აღელების წუთებში ნათქვამი ფრაზა სამსჯავროზე გამოსატანი არ იყო. ვერ ვიტყვი, რომ ბ-ნი კიტა უტაქტოა, მაგრამ ეს მოქმედება უტაქტობა მგონია. რაც შეეხება მის განცხადებას, „მმაჩის მოხელენი“ „გადმოსარჯულებელთ“ ცხრაპირ ტყავს აძრობენო“, ცილისწამებას ჰგავს.

მე ვიყავი თავის დროზე ქ. ბუაჩიძის შესანიშნავი დიდი წიგნის რედაქტორი, ათგვერდიანი გულთბილი წინასიტყვაობაც ერთვის იმ წიგნს; თვითონაც კარგად მოეხსენება ჩემი პირადი კეთილგანწყობილებისა თუ ეროვნული სულისკვეთების ამბავი, თავისი ხელნაწერიც უთხოვებია ჩემთვის, და მისგან ასეთი ტონით დაწერილ წერილს არ ველოდი. ახლა იძულებული ვხდები ვუპასუხო, თუმცა ბრუტუსთან დავა ყველას უჭირს: ის ხომ დიქტატორებს ებრძვის, და აქ ყველა იარაღი კარგია, ხანჯალი იქნება თუ კალამი.

დასასრულ: ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა გულწრფელ მეგობარს, რომელსაც უყვარს საქართველო და სურს ქართველი გახდეს ან დაამტკიცოს თავისი ქართველობა, აგრეთვე ყველას, ვინც მათ ამ საქმეში ეხმარება! მკითხველს ვთხოვ, ცუდად არ გაიგოს ჩემი „პოროზიო“, და დარჩეს იმავე აზრისა, რაც ხსენებულ თათბირზე ბ-ნმა სერგო ჯორბენაძემ გამოთქვა: „მას მხოლოდ ერის სიწმინდე და სიკეთე სურს თავისი ეროვნული წიგნებითა და გამოსვლებით, ამიტომ მისი მოსაზრებანიც გასათვალისწინებელია“. ისე კი, როგორც გენებოთ, ბ-ნო კიტა!

აკაკი გელოვანი

---

7 მაისს შესრულდება რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დადების 70-ე წლისთავი

ვისთვის ფარატინა ქაღალდი, ვისთვის — ისტორიული არგუმენტი

ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲐ გათვითცნობიერებულმა ქართველმა კარგად იცის თუ როგორ უსინდისოდ დაარღვია მეფის რუსეთმა გეორგიევსკის 1783 წლის ხელშეკრულება. მაგრამ ქართველობას ეგონა, ამაში მთავარი დამნაშავე რომანოვები და ბიუროკრატია იყო და ისტორიის ავანსცენიდან მათი ჩამოშორების შემდეგ ქართველთა ბედ-იღბალში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლებოდა. გავიდა ხანი, ისტორიის არენას, მართლაც, ჩამოსცილდნენ რომანოვებიც, ძველი ბიუროკრატიაც. 1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა და იმთავითვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად იქცა მისი აღიარება რუსეთის (ამჯერად საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის) მიერ. თუ უწინ მონარქიულმა და ბიუროკრატიულმა რუსეთმა ჩვენი ქვეყანა, ადრე ავად თუ კარგად თავისი თავი თვითონვე რომ „ეყუდებოდა“, კოლონიის მდგომარეობაში ჩააგდო, თანაც ისეთი კოლონიისა, რომელმაც აზიისა და აფრიკის ქვეყნებისაგან განსხვავებით ბევრად უფრო ნაკლები სასიკეთო ზემოქმედება განიცადა მეტროპოლიისაგან, ახალ „სოციალისტურ“ რუსეთს მდგომარეობა რადიკალურად უნდა გამოესწორებინა. ბოლოსდაბოლოს, წერტილი უნდა დასმოდა ისტორიულ უსამართლობას, რაც მეფის რუსეთმა საქართველოს მიმართ ჩაიდინა.

ახალმა, „სოციალისტურმა“ რუსეთმა, როგორც იქნა, აღიარა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რაც იმით გამოიხატება, რომ ჩაგრულ ხალხს აქვს დამპყრობელი სახელმწიფოსაგან (იმპერიიდან) გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნის (ან აღდგენის) უფლება. მაგრამ ბოლშევიკებისათვის ამ პრინციპის აღიარება იმთავითვე თვალთმაქცური ნაბიჯი იყო. ერთის მხრივ, კი ბატონო, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ერებს ჰქონდათ თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ იქვე დგებოდა ამ უფლების მიზანშეწონილობის საკითხი, სახელდობრ, აძლევდა თუ არა ხელს დაჩაგრული ხალხის პროლეტარიატს გამოსვლა ახალი, სოციალისტური რუსეთის შემადგენლობიდან. მაგრამ მუშათა კლასი, პროლეტარიატი, კერძოდ, იმდროინდელ საქართველოში იმდენად განუვითარებელი იყო, არამცდა არამც არ შეიძლებოდა იგი ერის ბედის გამგებელი ყოფილიყო. ამას ემატება ისიც, რომ მუშათა კლასის სახელით ლაპარაკობდნენ და მოქმედებდნენ ამ შემთხვევაში ქართველი ბოლშევიკები. რუს ბოლშევიკთა ეს თვალთმაქცობა მშვენივრად გამოჩნდა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. თუ ბოლშევიკთა ბელადი ლენინი დათანხმდა ფინეთის დამოუკიდებლობას (მან ეს არა შინაგანი მისწრაფებითა და საკუთარი ნება-სურვილით მოიმოქმედა, არამედ ფინელების კონსოლიდირებულობისა და მათ უკან მდგომი უცხო ძალების გავლენით), იგივეს გაკეთება დანარჩენი ჩაგრული ხალხების მიმართ ლენინსა და საერთოდ რუს ბოლშევიკებს არ სურდათ. მაგრამ სამოქალაქო ომმა თვით რუსეთიც კი დაშალა; გაჩნდა სხვადასხვა მთავრობები. ამით ისარგებლეს დამონებულმა ხალხებმა და აღადგინეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ერთი სიტყვით, ოქტომბრის გადატრიალების შემდგომ რომ არ დაწყებულიყო სამოქალაქო ომი, ე. ი. ბოლშევიკებს რომ შეძლებოდათ ხელისუფლების შენარჩუნება მთელი რუსეთის (იმპერიის) მასშტაბით, ისინი, ცხადია, არცერთი ხალხის (თვით ფინელებისაც) დამოუკიდებლობას არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ. მაგრამ ისტორიამ ისე ინება, რომ ახალ ხელისუფლებას ჯერ რუსეთის გაერთიანების საქმე უნდა მოეგვარებინა.

ბედად, საქართველოს ბოლშევიკური ცენტრისაგან დიდი სივრცეები აშორებდა, რომლებიც დაკავებული ჰქონდა გენერალ დენიკინს. ამით ისარგებლა ჩვენმა ქვეყანამ და თავი დამოუკიდებლად სცნო. თუ არა რუსეთის დაუძლურება, ისე საქართველო ამას ვერ მიაღწევდა. მეტიც, რუსეთი ამ შემთხვევაშიც ცდილობდა საქართველოს და, საერთოდ, მთელი ამიერკავკასიის დაუფლებას. რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წლის 16 ნოემბერს განიხილა ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების საკითხი და მიიღო დადგენილება შაუმიანის ამიერკავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშვნის თაობაზე. ამ მიზნით გალატაკებული ხაზინიდან გამოყვეს 500 ოქროს ათასი მანეთი. მდგომარეობა ძალიან დაიძაბა, რადგან თურქეთის ფრონტი მოშლილი იყო და იქიდან დაიძრა ჯარები რუსეთისაკენ, ამიერკავკასიის გავლით. ამ პირობებში ბოლშევიკებს ხელისუფლების ხელში ჩაგდება შეეძლოთ როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ისე საქართველოში. მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატის ენერგიული მოქმედებით ბოლშევიკური საფრთხე აღიკვეთა. რუსეთი ამის შემდეგაც რამდენჯერმე შეეცადა საქართველოს გასაბჭოებას და ამ გზით ქვეყნის ახალი რუსეთის იმპერიაში შეყვანას, მაგრამ დროის იმ მონაკვეთში მსგავსი ცდა წარუმატებლად დამთავრდა არაერთგზის.

Мирный договор между Россией и Грузией.

Российская Социалистическая Федеративная Советская Республика с одной стороны и Демократическая Республика Грузия с другой, руководимые общим желанием установить между обеими странами прочное и мирное сожительство на благо населяющих обе страны народов, решили заключить для сего особый договор и назначили для сего своими уполномоченными:

Правительство Российской Социалистической Федеративной Советской Республики — Заместителя Народного Комиссара по Иностранным Делам Льва Михайловича Карахана и Правительство Демократической Республики Грузии — Члена Учредительного Собрания Грузии Григория Илларионовича Уратадзе. Означенные уполномоченные по взаимном осведомлении о своих полномочиях, признанными должным перечисленным выше лицам право на подписание настоящего договора, согласились о нижеследующих статьях:

СТАТЬЯ I.

Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республикой права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения от Государства, в состав которого они входят, Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к Грузинскому народу и земле.

СТАТЬЯ II.

Исходя из провозглашенных в предшествующей статье I настоящего договора принципов, Россия обязуется отказаться от всякого рода вмешательства во внутренние дела Грузии.

СТАТЬЯ III.

1. Государственная граница между Россией и Грузией проходит от Черного моря по реке Псоу до горы Ахахча, через гору Ахахча и

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ თითქმის ორმა წელმა გაიარა და საბჭოთა რუსეთმა, როგორც იქნა, ინება და ოფიციალურად ცნო საქართველო. 1920 წლის 7 მაისს დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთს შორის. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელს აწერდა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე, ხოლო რუსეთის მხრივ — საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ლევ კარახანი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი) და საგარეო საქმეთა კომისარი გ. ჩიჩერინი აღნიშნავდნენ, რომ ხელშეკრულება „რუსეთისათვის სავალდებულო იქნება უკვე ხელმოწერის ძალით, საგანგებო რატიფიკაციის გარეშე“-ო.

საკუთრივ ხელშეკრულების ტექსტი თექვსმეტ მუხლს შეიცავდა. პირველ მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი უთუმცაოდ და ულაპარაკოდ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. რუსეთი ვალდებულად ხდიდა თავს ხელი აეღო საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევისაგან (მუხლი 11). იგი ცნობდა საქართველოს იმდროინდელ საზღვრებს, რა თქმა უნდა, ზაქათალის ოლქის (საინგილოს) ჩათვლით. მესამე მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ: „ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე, 1922 წლის პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება დაიცვას ეს უღელტეხილი თავისი ჯარებით, ან გაამაგროს ისინი“.

ხელშეკრულებაში იყო სხვა მორიგებანიც, კერძოდ, ურთიერთშორის ვაჭრობის განვითარებაზე, საელჩოებისა და საკონსულოების გახსნის თაობაზე, რომელთა შესასრულებლადაც შემდგომ რუსეთს დიდად არ უზრუნია. თბილისში დაარსდა საბჭოთა რუსეთის საელჩო (პირველი ელჩი — ს. მ. კიროვი), მაგრამ მისი მთავარი დანიშნულება იყო არა ჭეშმარიტად კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება საქართველოსთან, არამედ ზრუნვა მის დასაპყრობად. ასე რომ, რუსეთის საელჩო გარეშე აგენტურას წარმოადგენდა, რომლის არსებობა, ცხადია, აძლიერებდა შინაურ აგენტურას. მეათე მუხლში აღნიშნული იყო: „საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით დევნისაგან ყველა, ვინც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რსფსრ-ის ან კომპარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის“. აღნიშნულმა მუხლმა, რომ იტყვიან, ხელ-ფეხი გაუხსნა ჩვენს შინაურ მოღალატეებს, რომლებიც „მთელი ძალით“ ჩადგნენ ახალი იმპერიის სამსახურში.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას ქართველობის დიდი ნაწილი მოწონებით შეხვდა. იმედი ჰქონდათ, ამიერიდან რუსეთი ხელს აიღებდა ჩვენს მიმართ აგრესიულ, იმპერიალისტურ ზრახვებზე. თვითონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია წერდა: „იმედი მაქვს, რომ ამიერიდან რუსეთსა და საქართველოს შორის მოისპობა ყოველგვარი გაუგებრობა და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავებს სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად“. ასე გულუბრყვილო იყო თვით ნ. ჟორდანია და მით უფრო მეტი ილუზიები ჰქონდა დანარჩენი ქართველობის დიდ ნაწილს, რომელმაც იმხანად იწამა, რომ რუსეთი იქცა „მეგობარ სახელმწიფოდ“ (ეს აღნიშნულია XI მუხლში).

მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის „მეგობრული“ განწყობილება მოჩვენებითი იყო. ეს გამოჩნდა უკვე ხელშეკრულების დადებიდან ხუთი დღის გასვლის შემდგომ. 12 მაისს კვლავ გ. ურატაძისა და ლ. კარახანის ხელმოწერით დამატებითი ხელშეკრულება (გნებავთ შეთანხმება ვუწოდოთ) დაიდო, რომელიც სამი მუხლისაგან შედგებოდა და წარმოადგენდა საქართველოს სუვერენიტეტის უხეშ ხელყოფას. პირველ მუხლში ჩაიწერა: „საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებსა და ზაქათალის ოლქში სადაო საკითხების გადაწყვეტა მიენდობა შერეულ კომისიას, რომელიც საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობათა თანასწორ წარმომადგენელთაგან შედგება, რომლის თავმჯდომარე რუსეთის წარმომადგენელი იქნება. ეს დადგენილებანი ორივე მხარემ სავალდებულოდ უნდა ჩათვალოს“. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ 7 მაისის ხელშეკრულებაში რუსეთმა ზაქათალის ოლქი (საინგილო) უყოყმანოდ ცნო საქართველოს შემადგენლობაში, ასევე არავითარი ეჭვი არ გამოუთქვამს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის იმ დროს არსებულ დანარჩენ საზღვარზე. ხუთი დღის გასვლის შემდგომ კი სულ სხვა რამ მოხდა. საბჭოთა რუსეთის დემაგოგიური განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთის მთავრობამ „წინასწარი თანხმობა მიიღო (!) აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობისაგან, რასაკვირველია, არაფერ შუაშია. მთავარი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მტრული დამოკიდებულება იყო ჩვენს მიმართ. გამოჩნდა, აგრეთვე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა და თვით გ. ურატაძის უნიათობა. თუ რა შედეგი მოიტანა ამ დამატებითმა ხელშეკრულებამ აზერბაიჯანთან საზღვრების შეცვლაში (რა თქმა უნდა, ჩვენს საზიანოდ), ეს ახლა საყოველთაოდაა ცნობილი...

ახლა ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსს, მათ შორის დიდი სამეცნიერო წოდებების მქონეთ, გაუჩნდათ აზრი, რომ საქართველოზე იმხანად თავს დატყდარ უბედურებაში მთავარი წვლილი ი. ბ. სტალინსა და ს. ორჯონიკიძეს მიუძღვით. თითქოს მათგან განსხვავებით ვ. ი. ლენინი სულ იმას ცდილობდა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არაფერი ზიანი არ მოსვლოდა ამ ორი აურუსიული „ქართველისაგან“. პირადად ბოლომდე ვერ გამიცნობიერებია, რა არის მსგავსი მოსაზრების მიზეზი: გონების სიჩლუნგე, გულუბრყვილობა თუ მორიგი ადაპტაცია — მორგება თანამედროვე სიტუაციის მიმართ. ალბათ ეს უკანასკნელი. სინამდვილეში, „პროლეტარიატისა და მსოფლიო ხალხთა ბელადს“ იგივენაირი ვერაგული ზრახვები ამოძრავებდა საქართველოს მიმართ, როგორც აღნიშნულ ორ დიდ ქართველ გამყიდველს. გავიხსენოთ რამდენიმე ფაქტი.

1920 წლის მარტში სახკომსაბჭომ დაამტკიცა რუსეთის ელექტროფიკაციის კომისია (გ. წ. გოელრო). ამ კომისიამ დაგეგმა... ზემო ავჭალის ჰესის აგება და გეგმას იმავე წლის დეკემბერში ხელი მოაწერა თვითონ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ, „ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა“ ვ. ი. ლენინმა (სხვათა შორის ქსე-ს მეოთხე ტომში ურცხვად წერია: „...1922 წ. 23 მაისს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ზემო ავჭალასთან 12000 ცხენის ძალის სიმძლავრის ჰესის მშენებლობის შესახებ და რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიმართა დახმარებისათვის“. ესეც ისტორიის საბჭოური ფალსიფიკაციის კიდევ ერთი ბრწყინვალე ნიმუშია!). 1920 წლის 17 მარტს კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სახელზე გაგზავნილ დეპეშაში (კერძოდ, სერგო ორჯონიკიძისადმი) ილიჩი წერდა: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ, ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დაარწმუნეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ. ჯარების გადაყვანაზე შეუთანხმდით მთავრობის სარდალს“.

საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობაზე (1920 წლის 21 დეკემბერს) კითხვაზე, თუ რა მოელოდა საქართველოს, ვ. ი. ლენინმა უპასუხა: „ეს მუსლიმანთა ალაჰმაც კი არ იცის, მაგრამ თუ მტკიცედ ვიქნებით, სრულიად უხიფათოდ რაიმეს შევიძენთ“. საქართველოს მდგომარეობა ამ დროს არ იყო ისე გაურკვეველი, ერთადერთი საფრთხე მას მხოლოდ „სოციალისტური“ რუსეთისაგან მოელოდა. და ვ. ი. ლენინი, როგორც ვხედავთ, არ ფარავდა ჩვენს მიმართ აგრესიულ ზრახვას საჯარო გამოსვლის დროსაც კი.

მრავალი ასეთი მაგალითის გახსენება შეიძლება კიდევ. მაგრამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ლენინს იმპერიალისტური მიზნები ამოძრავებდა, არამედ ასეთივე ზრახვები ჰქონდა თვით მოწინავე, „ახალგაზრდა რუსეთს“, სოციალ-დემოკრატების, პირველ რიგში, ბოლშევიკების ჩათვლით. და ჩვენ, ქართველები, ადვილად წამოვეგეთ ბოლშევიკების სოციალისტური ფრაზეოლოგიის ანკესებზე, ისევე როგორც ერთ დროს ერთმორწმუნეობის სატყუარზე.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებიდან ერთი წელიც არ იყო გასული და საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო. წითლებმა მრავალი მიმართულებით შემოგვიტიეს, მათ შორის, მამისონისა და როკის უღელტეხილების გადმოლახვით (გაიხსენეთ III მუხლის მეორე პუნქტი!), ასე რომ, 7 მაისის ხელშეკრულება ბოლშევიკურმა რუსეთმა უბრალო, ფარატინა ქაღალდად აქცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ისტორიული (გნებავთ, იურიდიული ვუწოდოთ) არგუმენტია. ახალი რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს გამოხსნისათვის ბრძოლაში. მთავარი არგუმენტი კი იქნება ქართველობის მაღალი შეგნება და ორგანიზებულობა, მსოფლიოს ისტორიის შემდგომი ხელსაყრელი მსვლელობა.

გურამ ყორანაშვილი

მაქვს წინადადება

ვუშველოთ ამ ჩახლართულ საქმეს!

პროფკომიტეტის გარეშე დარჩენილ შრომით კოლექტივში

ᲩᲕᲔᲜ მივეჩვიეთ, ცხოვრების მანკიერი მხარეები მხოლოდ წარსულს გადავაბრალოთ. სამწუხაროდ, ეს ჩვევა კეთილ სამსახურს ვერ გვიწევს.

კერძოდ, დღე არ გავა, არ აღინიშნოს, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულმა სისტემამო. უკვე ხუთი წელია ვითომდა ვებრძვით ამ სისტემას, ხელჩასაჭიდი კი არაფერი გაგვიკეთებია. ახლა, ამაზე რომ ვლაპარაკობ, პირველყოვლისა ჩემი მშობლიური რაიონის, ჩხოროწყუს, საავადმყოფო მაქვს მხედველობაში.

ანტისანიტარია, მოუწყობელი პალატები, დაუდევრობა, გამოძალვა, მომსახურე პერსონალის ურთიერთდაპირისპირება, შური, შუღლი. აი, როგორია ზოგადი სურათი ამ საავადმყოფოში. ცხადია, ეს ყველაფერი ძალზე უარყოფითად მოქმედებს ხალხის განწყობილებაზე, ქმნის არაჯანსაღ ზნეობრივ კლიმატს, მით უმეტეს, რომ ჩხოროწყუ პატარა რაიონია, მისი თითოეული მცხოვრები სასიცოცხლო ძაფებითაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული.

მადლობა ღმერთს, საავადმყოფოში არიან ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია მოითხოვენ, საშველი დაადგეს საქმეს, თავისი სახელი ეწოდოს შავსა და თეთრს, მაგრამ, ვაი რომ, ამ სამართლიან მოთხოვნებს თავის დროზე მხარი ვერ აუბა ყოფილმა მთავარმა ექიმმა გოგი ბერიამ, რაც ბოლოს იმის საბაბად იქცა, რომ მან პირადი განცხადებით დათმო სამსახური 1989 წლის დეკემბერში. სწორედ აქედან დაიწყო მწვავე კონფლიქტი ადმინისტრაციაში დარჩენილ კონსერვატიულად განწყობილ თანამშრომლებსა და ჯანსაღ ძალებს შორის.

აი, თითქმის ნახევარი წლის წინ, 1989 წლის 19 ოქტომბერს, გაიმართა რაისაავადმყოფოს პროფკავშირების საარჩევნო კრება, რომელსაც თბილისიდან მოვლინებული მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური პროფკომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გ. გუმბერიძეც ესწრებოდა. მოგვიანებით არჩევნების შედეგები საეჭვო გახდა და 4 აპრილს იგი გააუქმა მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა. ხალხისთვის კი დღესაც გაუგებარია, რას ეფუძნებოდა ეს გადაწყვეტილება. ასე და ამრიგად, ისედაც დაძაბული ვითარება საავადმყოფოში კიდევ უფრო გაუარესდა.

დაძაბულობა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც საავადმყოფოს შრომითმა კოლექტივმა გადაწყვიტა, მოეწვია კრება საკონკურსო კომისიის ან შრომითი კოლექტივის საბჭოს ასარჩევად. შემდეგ ამ კომისიას ან საბჭოს უნდა წარემართა მთავარი ექიმის წინასაარჩევნო კამპანია. კრება სამჯერ ჩაიშალა ისევ და ისევ სრულიად გაუგებარი მიზეზებით. ამ უსიამოვნო მოვლენების საქმის კურსშია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი ა. ქვანია. მან, სხვათა შორის, უარყოფითად შეაფასა ადმინისტრაციის (მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ჩოკორაია) პოზიცია ან უფრო სწორად — უპოზიციობა.

მოდით, სანამ ურემი გადაბრუნდება, მანამ ვუშველოთ ამ ჩახლართულ საქმეს. ვიხელმძღვანელოთ არა კერძო, არამედ ხალხის ინტერესებით.

იმედია, ეს წერილი ხელს შეუწყობს ჩხოროწყუს საავადმყოფოს მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღებას და ბოლოსდაბოლოს საშველი დაადგება მთავარი ექიმის არჩევას დემოკრატიულ საწყისებზე. აუცილებელია, არჩევნებისათვის სამზადისსა და უშუალოდ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პრესის წარმომადგენლებმა.

გოგი სორდია,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი, საქართველოს სახალხო ფრონტის ჩხოროწყუს რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრი.